განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ტურიზმი/Tourism**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში/Bachelor of Business Administration in Tourism**
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	როსტომ ბერიძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: beridze.rostom@bsu.edu.ge ირაკლი კორძაია, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: kordzaia.irakli@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ მოამზადოს ტურიზმის ბიზნესის მართვის სფეროში თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელსაც კრიტიკულად აქვს გააზრებული სფეროს თეორიები და პრინციპები; ✓ ტურიზმის ბიზნესის მართვისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარებით, აკადემიური კეთილსინდისიერების, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის გრძნობით, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება; ✓ ტურიზმის სფეროში კომპლექსურ ან/და არაპროგნოზირებად გარემოში კონკრეტული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადება, რომელიც პასუხს აგებს საკუთარ მოქმედებებზე, არის დამოუკიდებელი, გეგმავს და ადგენს, აანალიზებს, ამყარებს კომუნიკაციას დარგის სპეციალისტებთან და არასაპეციალისტებთან. იაზრებს სწავლის შემდგომ საჭიროებებს.
სწავლის შედეგები	✓ აღწერს ტურიზმის ინდუსტრიის ძირითად და დამხმარე სექტორებს, ტურიზმის ბიზნესთან დაკავშირებულ სფეროებს, ტურისტული ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მართვის თეორიებს, კონცეფციებს და ძირითად პრინციპებს. აცნობიერებს მმართველობით დონეებს და მათ ფუნქციურ მახასიათებლებს. განიხილავს ტურიზმის ორგანიზაციის სფეროში არსებულ პრობლემებს, უახლეს მიგნებებსა და პრაქტიკულ საკითხებს; ✓ ახდენს ტურიზმის ბიზნესის სფეროში მომხმარებელთა მოთხოვნა/ მოლოდინების იდენტიფიცირებას, აანალიზებს ტურიზმის განვითარების გლობალურ და რეგიონულ ასპექტებს; ✓ შეუძლია მონაცემების შეგროვება და გაანალიზება, ტურისტული ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა, ტურიზმთან დაკავშირებული კვლევითი ან პრაქტიკული პროექტების დაგეგმვა-განხორციელება; ✓ ქმნის და ავითარებს ტურისტულ პროდუქტს. ამყარებს კომუნიკაციას თანამშრომლებთან, მიმწოდებლებთან,

	მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ადგენს მიზნობრივ ბაზარს, ახდენს ბაზრის სეგმენტაციას, აფასებს ეფექტიანობას; ✓ მსჯელობს ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესების, ინოვაციების და გამოწვევების შესახებ. აყალიბებს მოსაზრებებს და ახორციელებს ზეპირ ან/და წერილობით კომუნიკაციას ქართულ ან/და უცხო ენაზე; ✓ აცნობიერებს პროფესიულ, სამართლებრივ, ეთიკურ, კროსკულტურულ პასუხისმგებლობას ტურისტულ ორგანიზაციაში და საზოგადოებაში. იცავს მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს; ✓ გეგმავს, ორგანიზაციას უწევს კარიერული განვითარების, ცოდნის გაღრმავების და საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის შემდგომ საჭიროებებს. ზრუნავს საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე.